თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

## საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, „ქართული ოცნების“ რეგიონული შეხვედრები იმერეთიდან დაიწყო



მე-3 გვერდზე

№8 (770) 4 - 11 სექტემბერი, 2017 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი

# ხანძრებმა რეგიონებში ხელისუფლებას წინასაარჩევნო მარათონი მოუწყო

**მალე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდება, ქვეყანა კი წინასარჩევნო კამპანიის ნაცვლად, ცეცხლის ალშია გახვეული. თანაც, ამ წინასაარჩევნოდ, კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ხანძართან და ზოგადად, სტიქიასთან ბრძოლა, ხელისუფლების აქილევსის ქუსლია.**



პრევენციის ნაცვლად, ხელისუფლება ძირიდათად სტიქიის შედეგების ლიკვიდაციაზე მუშაობს. ამასთან, როგორც აღმოჩნდება ხოლმე, სტიქიასთან საბრძოლველად არც ტექნიკური აღჭურვილობით ვართ მზად და ხანძარს შიშველი ხელებით ვაქრობთ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ამ დროს კი მმართველი ჩინოვნიკები საკმაოდ მაღალ სახელფასო დანამატებს ირიგებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

როგორც „ბავშვთა სამყაროს,“ ლილოს ბაზრობის თუ სხვა გახმაურებული ხანძრების შემდეგ გამოჩნდა, რბილად რომ ვთქვათ, სახანძრო უსაფრთხოების კუთხით მთლად წესრიგში არ გვაქვს საქმე. თუმცა, რაც აგვისტოში მთელი ქვეყანა ცეცხლის ალში გაეხვია, აშკარა გახდა, რომ არც შესაბამისი სტრუქტურები არიან თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილები და მხოლოდ მეხანძრეების გმირობის იმედად ვართ - საკმარისია სახანძრო მანქანისათვის მიუდგომელ ადგილას ცეცხლი გაჩნდეს და შეიძლება ასობით ჰექტარი ტყე გადაიწვას.

განსაკუთრებით, საზოგადოებაში პრეტენზიები გაჩნდა კრიზისების მართვის საბჭოს მიმართ, რომლის აპარატშიც ორი ყოფილი ძალოვანი მინისტრი - მინდია ჯანელიძე და ალექსანდრე ჩიკაიძე არის დასაქმებული. თავდაცვის და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრები კი არც თუ მცირე ხელფასს და სახელფასო დანამატს იღებენ. როგორც ერთ-ერთმა ექსპერტმა გია ხუხაშვილმა აღნიშნა, არ შეიძლება კრიზისების მართვის საბჭო პენსიონერი მინისტრების დასაქმების ადგილი იყოს, რადგან ეს ეფექტური ვერ იქნებაო. ის რომ კრიზისების მართვის სქემაში პრობლემა გვაქვს და თან შესაბამისი ინფრაქტრუქტურაც საკმარისი არ არის, ეს არაპირდაპირ პრემიერ-მინისტრმაც „აღიარა.“

"ჩვენ დაგვჭირდება მომავალი სისტემური ცვლილებები, ასევე ინფრასტრუქტურის განახლება. დღევანდელ დღეს ხედავთ, გლობალური დათბობის პირობებში, რა სიტუაციაც არის მთელი ევროპის მასშტაბით, მსოფლიოს მასშტაბით. ნებისმიერი ქვეყანა უნდა იყოს მზად ასეთი გამოწვევებისთვის. ვფიქრობ, რომ საჭიროა შესაბამისი, ინფრასტრუქტურული აღჭურვილობის განახლება, მანქანების განახლება, ასევე არის აუცილებელი კრიზისების საბჭოს სტრუქტურის შესაბამისობაში ყოფნა ასეთი ტიპის გამოწვევებთან" - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ასე რომ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, ხანძარმა ხელისუფლებას წინასაარჩევნო მარათონი მოუწყო. თანაც, კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ სტიქიური უბედურებაც კი პოლიტიკაა. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციონერი პოლიტიკოსები აშკარად ერიდებოდნენ ხელისუფლების მკვეთრ კრიტიკას და აცხადებდნენ, რომ ჯერ მთავარია ხანძარი ჩაქრესო და პარლამენტშიც ერთხმად დაუჭირეს მხარი ჯარის გამოყენებაზე ნებართვას სტიქიასთან საბრძოლველად, მათ კომენტარებში მაინც იგრძნობოდა ქვეტექსტი - ხელისუფლებამ რეაგირება დააგვიანა, ჯარიც გვიან ჩართო პროცესში და მეგობარ ქვეყნებსაც გვიან სთხოვა დახმარება.

რაც შეეხება სხვა ქვეყნებისათვის დახმარებას, ეს კიდევ ცალკე პოლიტიკური გამოწვევა და თავის მართლების თემა აღმოჩნდა ხელისუფლებისთვის. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, დახმარება არა მხოლოდ მეგობარმა, არამედ ოკუპანტმა ქვეყანამაც შემოგვთავაზა და ჩვენ ზრდილობიანად ვთქვით უარი. თუმცა, შემდეგ აღმოჩნდა, რომ დახმარების თხოვნა რუსეთისთვის ჩვენ გაგვიგზავნია და რომ დაგვთანხმდნენ, შემდეგ ჩვენვე გვითქვამს უარი. ამას ხელისუფლების წარმომადგენლების შემდეგი განმარტება მოჰყვა - რუსეთს დახმარების თხოვნა გაერომ გადაუგზავნა, რადგან პროცედურა ითვალისწინებდა ამასო. თუმცა, საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში დახმარებაზე მიმართვა შვეიცარიის საელჩოს ქართული სექციიდან შევიდა. რა თქმა უნდა, რუსეთისთვის დახმარების თხოვნა, ასეთი მასშტაბის სტიქიური უბედურების დროს, შეიძლება დისკუსიის საგანი იყოს და არა გამოუსწორებელი შეცდომა ან ტრაგედია, მაგრამ მთავარი სხვა რამა არის. ამ „პატარა“ დეტალმა კიდევ ერთხელ აჩვენა - ხელისუფლებას საზოგადოებასთან ურთიერთობის ე.წ. პიარის მიმართულებით, აშკარად პრობლემები აქვს, განსაკუთრებით კი კრიზისების დროს - აცხადებენ ერთს და როდესაც საპირისპირო ირკვევა, თავის მართლება უწევთ.

ხელისუფლება და მთელი ქვეყანა ასეთ „გაწამაწიაში“ იყო, როდესაც პრეზიდენტი გამოვიდა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები დანიშნა 21 ოქტომბერს. ამის შემდეგ, მასშტაბურ ხანძართან და მის შედეგებთან ბრძოლის პარალელურად, უკვე ოფიციალური წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო. ისიც გაირკვა, რომ მმართველი პოლიტიკური ძალა ადგილობრივ დონეზე კადრებს ტოტალურად ცვლის და ამას ახალი სისხლის გადასხმას არქმევს, თუმცა ექსპერტების თქმით, ეს სხვა არაფერია, თუ არა „საკადრო შიმშილი.“

პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის აზრით, როდესაც მმართველი გუნდი იწყებს კადრების შეცვლის ტოტალურ კამპანიას, ეს ნიშნავს იმას, რომ რეიტინგი არ აქვს. "ოცნებას" აქვს საშინელი საკადრო შიმშილი... ეს არ არის "ახალი სისხლი". ეს არის ახალ ჭიქაში ჩასხმული ძველი ღვინო. უბრალოდ, ახალ კაბინეტებში შეუშვებენ და ახალ თანამდებობებზე დანიშნავენ. ვერავინ იტყვის, გარდა ნეპოტიზმისა, სხვა რა პრინციპით არჩევენ კადრებს" - აცხადებს „რეზონანსთან“ საუბრისას სოსო ცინცაძე.

ამავე აზრს იზიარებს ექსპერტი გია ხუხაშვილიც. მისი თქმით, მერებმა და გამგებლებმა მმართველობის პერიოდში მოახერხეს თვითდისკრედიტაცია. მაქსიმალურად არაპოპულარულები არიან. შესაბამისად, ახლა ოცნება ცდილობს, რომ ეს არაპოპულარული ადამიანები ჩაანაცვლოს ე.წ. ახალი სახეებით.

„რეგიონებში მმართველი ძალისთვის დიდ სიურპრიზებს არ ველოდები იმიტომ, რომ რესურსები "ოცნებას" განუსაზღვრელად აქვს, ვიდრე სხვა პარტიებს. შეიძლება ლოკალური სიურპრიზები იყოს, მაგრამ ნაციონალური მასშტაბით - არა... შედეგები განპირობებული იქნება მხოლოდ რესურსებით. აქ კანდიდატების დამსახურება არაფერი იქნება. ეს არჩევნები, სამწუხაროდ, არის ისევ და ისევ რესურების ომი და არა იდეების ომი“ - ასკვნის ესპერტი.

ამრიგად, ხანძართან ომი ისევ გრძელდება - ვერტმფრენები ხან მთა-თუშეთში, ხან კახეთში ისევ მუშაობენ - ხანძრის კერების გეოგრაფია მართლაც რომ მრავალფეროვანია. თუ რა არის ხანძრის შემთხვევების ასეთი გახშირების მიზეზი - დაუდევრობა თუ დივერსია, ეს ცალკე თემაა და აქ მთავარი სიტყვა ძალოვან სტრუქტურებს ეკუთვნით. ამის პარალელურად კი ქვეყანაში მეორე ფრონტის ხაზია გახნილი - ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, სადაც რესურსების ომი გადამწყვეტ ფაზაში ჯერ არ შესულა. თუ როგორი იქნება შედეგები მეორე ფრონტზე, ამას ოქტომბერში ვნახავთ.

**ცოტნე პაატაშვილი**

## მამუკა არეშიძე:
## „ეს არის პრესტიჟის შელახვა, დეზორგანიზაცია და ეკონომიკური დარტყმა ქვეყნისთვის!“

**ბორჯომში, სოფელ დაბის ტყეში ხანძარი 20 აგვისტოს დღის საათებში გაჩნდა.** თვითმხილველებმა 112-ზე ინფორმაციის გადაცემის შემდეგ სწრაფი რეაგირებისთვის ტელეკომპანია “ბორჯომის” ჟურნალისტს სოციალური ქსელით შეატყობინეს. პირველი სწორედ ტელეკომპანია "ბორჯომი" იყო, რომელმაც ეს ინფორმაცია გამოაქვეყნა. ცეცხლი ბუჩქოვან ხეებს და ბალახს მოეკიდა, თუმცა ადგილი ძნელად მისადგომი აღმოჩნდა სახანძრო მანქანებისთვის, რის გამოც პროცესში ვერტმფრენის ჩართვის აუცილებლობა გახდა საჭირო.

„ჩვენი გადამღები ჯგუფი დაბაში ვერტმფრენის გამოჩენამდე მივიდა. შემდეგ მოვიდნენ სხვა მედია საშუალებების წარმომადგენლებიც. ცეცხლი თავიდან 3000 კვ. მ ფართობზე იყო გავრცელებული, თუმცა არეალი ეტაპობრივად გაიზარდა. ცეცხლის ჩაქრობას ერთი ვერტმფრენი ცდილობდა, იმის გამო, რომ გზა მიუვალი იყო, სახანძრო ეკიპაჟებს და ადგილობრივებს იქ მისვლა და ხანძრის ლოკალიზება უჭირდათ. საშინელი სანახავია, როცა უყურებ, როგორ იწვის შენი ქალაქის ტყეები და ამ დროს არაფრის გაკეთება არ შეგიძლია. დაბა წაღვერი კვამლში იყო გახვეული, ჭვარტლმა ქალაქის ცენტრამდე ჩამოაღწია, ახლომდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა პანიკამ მოიცვა.“ - ასე იხსენებს ტელეკომპანია „ბორჯომის“ ჟურნალისტი ნინო ვართაპედიანი ბორჯომში ხანძრის გაჩენის პირველ დღეს.

**21 აგვისტოს მდგომარეობა გართულდა,** რის გამოც დამხმარე ძალის გამოძახება გახდა საჭირო, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებიდან, ასევე – მეზობელი ქვეყნებიდან. მოგვიანებით სამმა ვერტმფრენმა დაიწყო მუშაობა, თუმცა ქარის გამო რთულდებოდა ხანძრის ლოკალიზება. პრემიერის გადაწყვეტილებით საგანგებო შტაბი შეიქმნა, რომელიც 24 საათის განმავლობაში მუშაობდა. შტაბის შემადგენლობაში მთავრობის წევრები შედიოდნენ. ადგილზე იმყოფებოდნენ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც.

**22 აგვისტო ერთ-ერთი რთული დღე იყო ბორჯომის ტყეები ისტორიაში,** რადგან ცეცხლი კიდევ უფრო მეტ ფართობზე გავრცელდა.

გაგრძელება **მე-2 გვერდზე**

PSnews.ge

ISSN 1987-7056

9 771987 705004

# წინასაარჩევნო ამბები - 2017

**დასრულდა ზაფხული და პოლიტიკური პარტიების საარჩევნო აქტიურობა ახალ ფაზაში შევიდა. უკვე ცნობილია რამდენიმე პარტიის მერობის კანდიდატები ქუთაისსა და იმერეთის რეგიონში.**

პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა იმერეთში "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" მერობის კანდიდატები 2 სექტემბერს ქუთაისში წარადგინა:

ქუთაისის მერობის კანდიდატი **გიორგი ჭიღვარია** იქნება, ბაღდათში - **არჩილ გოგსაძე,** ვანში - **ალექსანდრე გოგორიშვილი,** თერჯოლაში - **ბონდო სოფრომაძე,** სამტრედიაში - **ვალერიანე ფოცხვერია,** საჩხერეში - **ბენიამენ ფალავანდიშვილი,** ტყიბულში - **თემურ ჩუბინიძე,** წყალტუბოში - **გრიგოლ იოსელიანი,** ჭიათურაში - **პაატა ნადირაძე,** ხარაგაულში - **ნიკოლოზ თოფურიძე,** ხონში - **ლადო ჯურხაძე,** ხოლო ზესტაფონში – **კახაბერ მახათაძე.**

* * *

**უკვე ცნობილია, რომ "ევროპული საქართველოს" ქუთაისის მერობის კანდიდატი დავით გოგისვანიძეა. მან წარდგენის დროს მადლობა გადაუხადა თანაგუნდელებს ნდობისთვის და აღნიშნა:**

„წლებია ერთად ვიბრძვით, რომ ჩვენი ქალაქი გახდეს უკეთესი. წლების განმავლობაში წარმოდგენილი ვარ თვითმმართველობაში, როგორც საკრებულოს წევრი და რა თქმა უნდა, ჩემს გამოცდილებას გამოვიყენებ იმისთვის, რომ ქუთაისი იყოს ღირსეული, მოქალაქეების სიდუხჭირე შემსუბუქდეს".

დავით გოგისვანიძე სამი მოწვევის საკრებულოს წევრია. ის ქუთაისის საკანონმდებლო ორგანოში "ნაციონალური მოძრაობის" სიით მოხვდა, ხოლო პარტიის გაყოფის შემდეგ "ევროპულ საქართველოს" შეუერთდა.

რაც შეეხება, ქუთაისის მაჟორიტარობის კანდიდატებს, პარტიაში აცხადებენ, რომ მათი წარდგენა 14 სექტემბრისთვის მოხდება.

ცნობილია ასევე, რომ ხონში „ევროპული საქართველოს“ მერობის კანდიდატი იქნება **აკაკი ბობოხიძე,** რომელიც ამჟამად საპარლამენტო უმცირესობის წევრია და იმერეთის ყოფილი გუბერნატორია. "ევროპულ საქართველოს" იმერეთის მუნიციპალიტეტებში მერობის კანდიდატები ოფიციალურად ჯერ არ წარუდგენია, თუმცა, პარტიამ, საარჩევნო პლაკატები უკვე დაბეჭდა.

* * *

**ქუთაისში მერობის კანდიდატი ჰყავს დავით უსუფაშვილის ახალშექმნილ „შენების მოძრაობასაც“. მათი კანდიდატი ალუდა გოგლიჩიძეა, რომელიც უსუფაშვილმა უკვე წარუდგინა ქუთაისის საზოგადოებას.**

ალუდა გოგლიჩიძე განათლების მინისტრის ყოფილი მოადგილე გახლდათ. ის, ასევე, თბილისის მერის მოადგილე და შემდგომში ა(ა)იპ "თბილისის ევროპული ახალგაზრდული ცენტრის" დირექტორი იყო.

გასული წლის საპარლამენტო არჩევნებში ალუდა გოგლიჩიძე პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ სახელით მონაწილეობდა.

# სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს შეფასება გამოაქვეყნა

**2017 წლის ოქტომბერში საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნები გაიმართება.**

სამართლიანი არჩევნები თვითმმართველობის არჩევნებს მონიტორინგს მთელი ქვეყნის მასშტაბით გაუწევს. 24 ივლისიდან წინასაარჩევნო პერიოდის მიმდინარეობას ყველა მუნიციპალიტეტში უკვე აკვირდება **ორგანიზაციის 70 გრძელვადიანი დამკვირვებელი**. გრძელვადიანი მონიტორინგის შუალედური შედეგების გამოქვეყნებამდე, „სამართლიანი არჩევნები“ წარმოადგენს საარჩევნო კანონმდებლობის, პოლიტიკური და მედია პლურალიზმის კუთხით წინასაარჩევნოდ ქვეყანაში არსებული გარემოს შეფასებას.

დოკუმენტში განხილულია რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის საკონსტიტუციო ცვლილებები და მეტწილად ინკლუზიურად დაწყებული პროცესი, რომელიც ივნისის ბოლოს ერთგვარ ჩიხშიმას შემდეგ შევიდა, რაც მმართველმა პარტიამ საარჩევნო სისტემის ცვლილების 2024 წლამდე გადავადების შესახებ გადაწყვეტილება მოულოდნელად მიიღო.

წინასაარჩევნო გარემოს შეფასების დოკუმენტში საუბარია 14 მუნიციპალიტეტის გაერთიანებასა და 7 თვითმმართველი ქალაქისთვის სტატუსის გაუქმების გადაწყვეტილებაზე, რომელსაც, ასევე, მოულოდნელად და ფართო საზოგაოდების ჩართულობის გარეშე დაუჭირა მხარი პარლამენტმა.

ძირითადმა პოლიტიკურმა პარტიებმა თვითმმართველობის არჩევნებისთვის მზადება არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე დაიწყეს, თუმცა ქვეყნის მასშტაბით წინასაარჩევნო კამპანია აქტიურ ფაზაში ჯერ არ გადასულა. როგორც მოსალოდნელია, საარჩევნო კამპანიის ძირითადი ფოკუსი თბილისის მერის არჩევნები იქნება. თბილისის მერობის ძირითადი კანდიდატები საზოგადოებისათვის უკვე ცნობილია.

დოკუმენტში, ასევე, შეფასებულია მედია გარემო და ის ცვლილებები, რომელიც არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე მიმდინარეობდა ნაციონალურ მაუწყებლებში.



# დავით წიტაიშვილი: „აკადემიზმიდან კარიკატურიზმისაკენ გადახვევა ჩვენთვის მიუღებელია“

**პარტია „დემოკრატიული საქართველოს“ ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, დავით წიტაიშვილმა, რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად, პარტია დატოვა. ამასთან დაკავშირებით წიტაიშვილმა მედიასთან სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე ისაუბრა.**

წიტაიშვილის განცხადებით, იმ შმთხვევაში, თუ ქართული ოცნების მერობის კანდიდატად გიორგი ჭიღვარია დასახელდება, მას დაუჭერენ მხარს, სხვა შემთხვევაში კი ამ არჩევნებზე პოლიტიკურ ტაიმაუტს აიღებენ.

„ ის პროცესები, რაც წინასაარჩევნოდ მიმდინარეობს, ბლოკების შექმნასთან დაკავშირებით, ის გაერთიანება, რაც „დემოკრატიულ მოძრაობასა“ და „ თავისუფალ საქართველოს“ შორის მოხდა, ამასთან დაკავშირებით ქუთაისელების განწყობა არის უარყოფითი. ჩემთვის მთავარი არის, რას ფიქრობს მოსახლეობა, ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო დემოკრატიული მოძრაობა, ძირითად ბირთვთან ერთად, რადგან აღნიშნული გაერთიანება ჩვენთვის მიუღებელია.აკადემიზმიდან კარიკატურიზმისაკენ გადახვევა ჩვენთვის მიუღებელია.“- განაცხადა დავით წიტაიშვილმა.



დავით წიტაიშვილი

წიტაიშვილის განცხადებებს „თავისუფალი საქართველოს“ იმერეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, გოგი წულაია გამოეხმაურა და განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია, რა ღირებულებებზე საუბრობს დავით წიტაიშვილი, რომელმაც ღიად გამოუცხადა მხარდაჭერა მმართველ გუნდს და გიორგი ჭიღვარიას.

„კაცი, რომელიც სამი წელია ოპოზიციაშია, ერთი წინააღმდეგობა არ გაუწევია უმრავლესობისთვის, ის საუბრობს ღირებულებებზე?“, – ამბობს გოგი წულაია.

ის ასევე ადასტურებს იმ ფაქტსაც, რომ ქუთაისის მერობის კანდიდატად მისი წარდგენა 10 სექტემბრისთვის მოხდება.

**ლიკა დევდარიანი**

# ვანის არქეოლოგიური მუზეუმის რეაბილიტაცია ექვს თვეში დასრულდება

**საქართველოს მუნიციპალური განვითრების ფონდი მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ახორციელებს ვანის არქეოლოგიური მუზეუმის რეაბილიტაციას.**

პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ვანის არქეოლოგიური მუზეუმის, ნაქალაქარის ტერიტორიის რეაბილიტაცია, ხოლო 2018 წელს დაგეგმილია მუზეუმამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (ამ ეტაპზე მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები). ასევე, დაგეგმილია მუზეუმის სპეციალური ინვენტარით აღჭურვა.

მუნიციპალური განვითარების ფონდის ინფორმაციით, ვანის არქეოლოგიურ მუზეუმს 1985 წლის შემდეგ რეაბილიტაცია არ ჩატარებია. უწყების ცნობით, პროექტის დასრულების შემდეგ ის საერთაშორისო სტანდარტებს გაუთანაბრდება და რეგიონში ყველაზე გამორჩეული მუზეუმი იქნება. პროექტის ჯამური ღირებულება 14,5 მილიონი ლარია.



ამჟამად ობიექტზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ფრაგმენტების (კარიბჭის, მოზაიკური ტაძრის, მრგვალი ტაძრის, სამლოცველოს ზედა ტერასის, ბავშვის სამარხის ზედა ტერასის) გადახურვის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში განახლდა ფეხით მოსიარულეთა ხიდი, რომელიც მუზეუმის შენობას არქეოლოგიურ ზონასთან აკავშირებს.

ასევე, მიმდინარეობს ახალი 4 -სართულიანი მუზეუმის მშენებლობა, რომელიც ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. მოეწყობა ავტოპარკი, მცირე ბიბლიოთეკა, ლაბორატორია, კაფეტერია, საოფისე ოთახები ადმინისტრაციისათვის. რეაბილიტაცია ჩაუტარდება წყლისა და კანალიზაციის ქსელს.

პროექტს სამშენებლო კომპანია ძდაგი ჯგუფიძ ახორციელებს. პროექტის დასრულების თარიღად 2018 წლის თებერვალია მითითებული.

# ჭიათურის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს

**ჭიათურის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარე წლის სექტემბერში დაიწყება. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორმა გიორგი კობერიძემ და ტენდერში გამარჯვებული აზერბაიჯანული კომპანია Akkord-ის წარმომადგენელმა ჭიათურის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს.**

პროექტი ითვალისწინებს სათავე ნაგებობის, მაგისტრალური ხაზების, გამანაწილებელი ქსელის და საქლორატოროს მოწყობას, ასევე, სატუმბი სადგურების და რეზერვუარების მშენებლობა-რეაბილიტაციას.

პროექტს აზიის განვითარების ბანკი (ADB) აფინანსებს და ის 36 მილიონი ლარი ჯდება. სამუშაოების დასრულების შემდეგ ჭიათურის მოსახლეობა, რომელსაც წყალი დღემდე სხვადასხვა გრაფიკით მიეწოდება, 24 საათიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს. უწყვეტი, ხარისხიანი წყალმომარაგება ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელ პირობებს გააუმჯობესებს. პროექტის დასრულება 2019 წლის პირველ კვარტალში იგეგმება.

სამუშაოებს აზერბაიჯანული კომპანია Akkord შეასრულებს, რომელსაც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მხრივ მრავალწლიანი გამოცდილება აქვს და სამხრეთ კავკასიაში ამ მიმართულებით ლიდერობს. კომპანია არაერთ მნიშვნელოვან პროექტზე მუშაობს თურქეთში, აზერბაიჯანში, ყაზახეთსა და უზბეკეთში.

# საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, „ქართული ოცნების“ რეგიონული შეხვედრები იმერეთიდან დაიწყო

**პარტიამ „ქართულმა ოცნება“, საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, რეგიონული შეხვედრები იმერეთიდან დაიწყო. მხარდამჭერებთან მასშტაბური შეხვედრა ქუთაისში გაიმართა, სადაც პრემიერ-მინისტრმა, პარტიის თავმჯდომარე გიორგი კვირიკაშვილმა იმერეთის რეგიონში მერობის კანდიდატები წარადგინა.**





მმართველი პარტიის გადაწყვეტილებით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში „ქართული ოცნებიდან“ **ქუთაისის** მერობის კანდიდატი გიორგი ჭიღვარია იქნება, **ბაღდათში** — არჩილ გოგსაძე, **ვანში** — ალექსანდრე გოგორიშვილი, **თერჯოლაში** — ბონდო სოფრომაძე, **სამტრედიაში** — ვალერიანე ფოცხვერია, **საჩხერეში** — ბენიამენ ფალავანდიშვილი, **ტყიბულში** — თემურ ჩუბინიძე, **წყალტუბოში** — გრიგოლ იოსელიანი, **ჭიათურაში** — პაატა ნადირაძე, **ხარაგაულში** — ნიკოლოზ თოფურიძე, **ხონში** — ლადო ჯურხაძე, ხოლო **ზესტაფონში** — კახაბერ მახათაძე.

პრემიერის განცხდებით, „ქართული ოცნება“ მათ სრულ მხარდაჭერას და ნდობას უცხადებს, რადგან ამ ადამიანებს კარგად იცნობენ რაიონებში, თითოეული მათგანი შერჩეულია კვალიფიციურობისა და პროფესიონალიზმის ნიშნით. კვირიკაშვილი დარწმუნებულია, რომ იმერეთის რეგიონის მერობის კანდიდატები ხალხისა და ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერებისთვის მაქსიმუმს გააკეთებენ. მისივე თქმით, მმართველი გუნდი ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ძალისხმევას არ იშურებს, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით წინ წაიყვანოს და ხალხის მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალოს.

როგორც პრემიერმა კანდიდატების წარდგენისას აღნიშნა, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ქართველი ხალხის უმრავლესობამ „ქართულ ოცნებას“ ნდობა უკვე ოთხჯერ გამოუცხადა და მათ მხარდაჭერაში ამჯერადაც დარწმუნებულია.

„ოქტომბერში ისევ გეძლევათ საშუალება, გადაწყვიტოთ, ვის ჩააბაროთ და ანდოთ საკუთარი ქალაქი, რაიონი თუ სოფელი, რომელი პოლიტიკური ძალა იფიქრებს და იზრუნებს თქვენი სოფლის, რაიონისა თუ ქალაქის ბედზე, ხალხის საჭიროებებზე, მათთვის ცხოვრების უკეთესი და ღირსეული პირობების შექმნაზე. ყველა არჩევნებში თქვენ „ქართული ოცნების“ გვერდით იდექით და ჩვენ ეს ბრძოლა ყოველთვის გამარჯვებით დავაგვირგვინეთ. მჯერა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებშიც, 21 ოქტომბერს, ჩვენ გვერდით იქნებით და მხარს დაუჭერთ „ქართულ ოცნებას“. ჩვენ გავიმარჯვებთ და ეს გამარჯვება თითოეული თქვენგანის გამარჯვება იქნება“, — მიმართა კვირიკაშვილმა მოსახლეობას.

სიტყვით გამოსვლისას პრემიერმა ასევე ყურადღება გაამახვილა რეგიონის ეკონომიკურ პოტენციალზე და აღნიშნა, რომ ქუთაისს და მთელ იმერეთს ყველა რესურსი აქვს იმისთვის, თავისი ხმამაღალი სიტყვა თქვას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

„ინფრასტრუქტურული პროექტები და სივრცითი მოწყობის გეგმა განვითარების საუკეთესო შესაძლებლობას აძლევს იმერეთს, ვინაიდან ის ერთმანეთთან აკავშირებს ჩვენი ქვეყნის დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს, ეს მისი უდიდესი პოტენციალია. ქუთაისმა უნდა დაიბრუნოს თავისი ისტორიული მნიშვნელობა და მეორე უდიდეს ცენტრად იქცეს. ჩვენ ძალიან მნიშვნელოვან პროექტებს ვგეგმავთ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის გასაფართოებლად; შენდება ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტთან დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზი და სადგური; უახლოეს მომავალში დაიწყება ერთ-ერთი უმსხვილესი ლოგისტიკური ცენტრის მშენებლობა ქუთაისის აეროპორტის მახლობლად, რაც გაზრდის ქვეყნის სატრანზიტო და ლოგისტიკურ პოტენციალს, შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს“, - განაცხადა კვირიკაშვილმა.

პრემიერმა ასევე ისაუბრა რეგიონში განათლების, ჯანდაცვის, მეწარმეობის განვითარებისა და კულტურის ცენტრებისა და სპორტული კომპლექსების მშენებლობარეაბილიტაციისთვის სახელმწიფო პროგრამების გაგრძელებაზე.

„ჩვენს ქვეყანას აქვს ჯანსაღი ამბიცია, იყოს რეგიონის ეკონომიკური ცენტრი. ჩვენი ქვეყნის სივრცითი განვითარების ცენტრი კი, სწორედ ქუთაისი იქნება. ქუთაისი დაიბრუნებს ძველ დიდებას, მე ამას გპირდებით, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ ამას გპირდებათ“, - აღნიშნა კვირიკაშვილმა.

ქუთაისში შეკრებილ მხარდამჭერებს პარტიის გენერალურმა მდივანმა, „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატმა კახა კალაძემაც მიმართა. მისი თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე საქართველოში თვითმმართველობის სწორად ორგანიზება და განვითარება მოხდეს, რადგან ქვეყნის ძლიერება სწორედ ძლიერ თვითმმართველობაზეა დამოკიდებული. კალაძის განცხადებით, ხელისუფლება მუშაობს და ჯანდაცვის, განათლების, სოფლის მეურნეობის სრულყოფისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის, ასევე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით, მუშაობას მომავალშიც განაგრძობს. „ქართული ოცნება“ ეს არის გუნდი, რომელიც ქმნის საქართველოს რეალობას — პერსპექტიულს და პროგრესულს. ჩვენი ოცნებაა, ჩვენს შვილებს ჰქონდეთ ისეთი საქართველო, რომელიც საუკეთესო ქვეყანა იქნება მთელ მსოფლიოში - მშვიდი, უზრუნველყოფილი და განვითარებული“, — განაცხადა თბილისის მერობის კანდიდატმა.

განცხადება მედიასთან ქუთაისის მერობის კანდიდატმაც გააკეთა. გიორგი ჭიღვარიას თქმით, თვითმმართველობა, ეს არის ხელისუფლება, რომელიც ყველაზე ახლოს დგას ხალხთან, ამიტომ მათ ხალხთან ერთად უნდა შეძლონ ქალაქის სწორი განვითარება. ქალაქის განვითარების შესაძლებლობებზე საუბრისას მერობის კანდიდატმა აღნიშნა, რომ ქუთაისი არის კონკურენტუნარიანი ევროპული ტიპის ქალაქი, რომელიც მიმზიდველი იქნება, როგორც ადგილობრივებისთვის, ასევე ინვესტორებისთვის და ტურისტებისთვის. „ჩვენ გვჭირდება ძლიერი ქუთაისი, ძლიერი ქუთაისი ძლიერი საქართველოსთვის“, — განაცხადა ჭიღვარიამ.

ძლიერი საქართველოს შენებაში, მუნიციპალიტეტის თითოეულ მცხოვრებთან ერთად, მონაწილეობისთვის ასევე მზადყოფნას გამოთქვამს ბაღდათის მერობის კანდიდატი არჩილ გოგსაძე. ჟურნალისტებთან საუბრისას გოგსაძემ აღნიშნა, რომ გამარჯვების შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება დასაქმების პრობლემას, სოფლის მეურნეობის განვითარებას, ტურიზმსა და ახალგაზრდობის პრობლემატიკის დროულ გადაწყვეტას დაუთმობს. მერობის კანდიდატი იმედოვნებს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში მოსახლეობა აქტიური იქნება და დაგეგმილ შეხვედრებში მონაწილეობას მიიღებს.

მოსახლეობას საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას პირდება ხარაგაულის მერობის კანდიდატი ნიკოლოზ თოფურიძე. მისი განცხადებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სულ 78 სოფელია, 26 სოფელში გზების მოწესრიგება წელს ზამთრამდე დასრულდება. „ჩემი მერობის შემთხვევაში, სამ წელიწადში ყველა სოფელს ექნება მოგვარებული ეს პრობლემა და მთავარი გზები მოწესრიგებული იქნება,“ — განაცხადა თოფურიძემ.



# მამუკა არეშიძე:
# „ეს არის პრესტიჟის შელახვა, დეზორგანიზაცია და ეკონომიკური დარტყმა ქვეყნისთვის!“

**პირველი** გვერდიდან

ამ დროისთვის გავრცელებული ინფორმაციით, ხანძარმა ათეულობით ჰექტარი მოიცვა. ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის და ბელორუსიის 7 ვერტმფრენი ჩაერთო. პრემიერ მინისტრის გადაწყვეტილებით, ბორჯომში ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში 1000 ჯარისკაცი ჩავიდა. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ადგილზე მობილიზებული იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების სპეციალური ტექნიკა და ცეცხლმაქრი საშუალებები.

ადგილზე ჩავიდა საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია, რომელიც საგანგებო შტაბში პრემიერ-მინისტრთან ერთად გამართულ თათბირს დაესწრო, სადაც სამოქმედო გეგმა შეიმუშავეს. მოგვიანებით თავდაცვის მინისტრმა სამხედროებს სიტყვით მიმართა და ატენის ხეობაში გაწეული სამსახურისათვის მადლობა კიდევ ერთხელ გადაუხადა. თუმცა არსებული ვითარებიდან გამომდინარე, თავდაცვის მინისტრმა სამხედრო მოსამსახურეებს ხანძარსაწინააღმდეგო სამუშაოებში აქტიური მონაწილეობისკენ კვლავ მოუწოდა და იმედი გამოთქვა, რომ გარკვეული შედეგი დღის ბოლომდე მიღწეული იქნებოდა.

არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა შინაგან საქმეთა მინისტრმა. „ბოლო დღეების განმავლობაში მაშველების და სამხედროების დახმარებით 12 კილომეტრამდე გზა გავჭერით მიუვალ ტყეებში. იქ, სადაც ტექნიკისთვის შეუძლებელი იყო გავლა, დღეს სახანძრო მანქანები მუშაობენ და კერებამდე მიახლოების საშუალება აქვთ. ასევე, ცოცხალი ძალის დამატება დაგვჭირდა იმიტომ, რომ ავიაციის ეფექტური მუშაობის შემდგომ ის კერები, რომელიც დარჩენილია დაგვემუშავებინა. ჩვენ ინტენსიურად ვაგრძელებთ მუშაობას და უახლოეს დღეებში ეს პრობლემა გადაჭრილი იქნება", - განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

ბორჯომის ხეობაში ხანძრის სალიკვიდაციო ღონისძიებების შესაფასებლად 23 აგვისტოს გვიან ღამით საგანგებო შტაბის სხდომა გაიმართა. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სხვადასხვა უწყებების ხელმძღვანელებისაგან ხანძრის კერებზე არსებული ვითარების შესახებ ინფორმაცია მოისმინა. ხანძრის გაჩენიდან ოთხი დღის შემდეგ, მიუხედავად პერიოდულად სიტუაციების გაუარესებისა, საერთო ჯამში, დადებითი დინამიკა შეიმჩნეოდა ცეცხლის ლოკალიზების კუთხით.

„აქამდე გაწეული სამუშაოებიდან გამომდინარე, მივედით იმ მომენტამდე, როდესაც ჩვენ მიერ გაყვანილი გზების მეშვეობით, შეგვიძლია ფიზიკური წვდომა ცეცხლის ყველა ზონასთან. ამიტომ ამ ეტაპზე, უკვე დადგა უფრო მეტი ორგანიზებული ცოცხალი ძალის საჭიროება. როცა სტიქიასთან გვაქვს საქმე, პროგნოზების გაკეთება მაინცდამაინც სწორი არ არის. მაგრამ მე მგონია, რომ გამომდინარე იმ დინამიკიდან რაც გუშინდელი დღის ბოლოს გვქონდა და დღეს, უკვე გაერთიანებული ძალებით გვექნება, მივალთ იქამდე, რომ გადავალთ ცეცხლის საბოლოო ჩაქრობის ეტაპზე. ეს შეიძლება გაგრძელდეს გარკვეული პერიოდი, მაგრამ სანამ ბოლომდე არ მივიყვანთ ამ საქმეს, ერთობლივი შტაბი ჩვეულებრივად გააგრძელებს მუშაობას.“ - განაცხადა პრემიერ მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა.

ამ დროისთვის ცოცხალი ძალა, რომელიც ცეცხლის სალიკვიდაციო სამუშაოებს უკვე მეხუთე დღეა აწარმოებდა ორად გაიყო. ერთი არდაღანის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ხანძრის კერებზე მუშაობდა, ხოლო მეორე ჯგუფი წაღვერის მონაკვეთზე. საბოლოოდ ცეცხლის ლიკვიდაცია 26 აგვისტოს გახდა შესაძლებელი. თუმცა მაშველების და მეხანძრეების გარკვეული ჯგუფი, 1 სექტემბრის მონაცემებით, ადგილზე რჩება.

„აეროფოტოსურათების დამუშავებით გვაქვს პირველადი მონაცემები ხანძრის ფართობთან დაკავშირებით, თუმცა, მონაცემი შესაძლოა შეიცვალოს ტერიტორიის დეტალური შესწავლის შემდეგ. ხანძარმა თითქმის გაიმეორა 2008 წლის ნახანძრალი ფართობი და პერიმეტრი რუქის მიხედვით შეადგენს 757 ჰა-ს, აქედან 525 ჰა წარმოადგენს 2008 წლის ნახანძრალ ტერიტორიას. სამწუხაროდ, ხანძარმა დააზიანა 2013-2017 წლებში გაშენებული ნარგაობის ნაწილიც. ამასთან დაკავშირებით ზუსტი მონაცემი ასევე დეტალური შესწავლის შემდეგ გვექნება. ტერიტორიიდან მაშველებისა და მეხანძრეების გამოსვლის შემდეგ, სამინისტროს სპეციალისტთა ჯგუფი და




მოწვეული ექსპერტები დაუყონებლივ დაიწყებს ტერიტორიის დეტალურ შესწავლას, რომლის დროსაც კონკრეტული ფართობების მიხედვით შეფასდება როგორც ნიადაგური და გეოლოგიური მდგომარეობა, ასევე, დზაიანების კატეგორია, გარემოზე მიყენებული ზიანი და სხვა გარემოფაქტორები. შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით შევა ცვლილებები ტერიტორიისთვის არსებულ ტყის აღდგენის პროექტში.“ აცხადებს ჩვენთან საუბარში ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე ნათია იორდანიშვილი.

**ხანძრის გაჩენის რისკებზე და ფაქტორებზე საუბრობენ გარემოს დაცვის კუთხით მომუშავე ექსპერტები.** ისინი არ გამორიცხავენ დივერსიის ფაქტსაც, თუმცა ყურადღებას დაუდევრობზე, განათლების და ცნობირების პრობლემაზეც ამახვილებენ. გარემოს დაცვითი ორგანიზაციიის CENN-ის ექსპერტი **რეზო გეთიაშვილი** ამბობს: „ასეთ ტყეებში ბევრი ადამიანი შედის, როგორრც ადგილობრივი მცხოვრები, ასევე – ტურისტი. ეს ტყეები აქტიურად გამოიყენება მერქნული დამუშავებისთვის. ამ არამდგრადი სარგებლობით და მმართველობით ხანძრის გაჩენის რისკები იზრდება. კიდევ ერთი ფაქტორი ძლიერ დეგრადირებული ტყეა, სადაც იყო გახრიოკებული ადგილები, იყო მკვდარი ბიომასა, შესაბამისად – რისკებიც არის მაღალი. კიდევ ერთი მიზეზი არის ის რომ სატყეო მეურნეობა დიდი ხანია არ მუშაობს, მართვის გეგმაში უნდა იყოს გაწერილი სახანძრო გზების მოწყობა, მკვდარი ბიომასის გამოტანა, ასევე ტყეში შესაძლოა, საჭირო გახდეს ქვედა ტოტების შეჭრა. ეს კანონმდებლობით გაწერილია, თუმცა არ ხორციელდება. გარდა ამისა, ჩვენ ტყეები გვჭირდება იმისთვის, რომ დავწვათ ღუმელში, ანუ გამოვიყენოთ სათბობ მასად. ეს ჭრები კი ქმნის მოწყვლად ადგილებს ტყის ხანძრებისთვის. და ბოლოს, ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოს მზაობა არის დაბალი, რათა ხანძარს გაუსწორდეს.“

**დივერსიის ფაქტთან დაკავშირებით ეროვნულ სატყეო სააგენტოში კომენტარს არ აკეთებენ, თუმცა ამ ფაქტს არ გამორიცხავს ექსპერტი მამუკა არეშიძე.** „რაც უფრო იმატებს ხანძრების რიცხვი, მით უფრო მაღალი ხარისხით იმატებს დივერსიის ალბათობა. თუმცა, აქ შეგვიძლია, ორ ფაქტორზე ვისაუბროთ - დივერსია შიდა და გარე პოლიტიკური ფაქტორებიდან გამომდინარე. მე შიდა ფაქტორს გამოვრიცხავ, თუმცა ფაქტია, რომ შემსრულებლები ადგილზე უნდა ვეძებოთ. რაც შეეხება გარე პოლიტიკურ ფაქტორს, დომინირებს აზრი რუსეთის მიერ მოწყობილ დივერსიაზე. მაგრამ მე უფრო ვემხრობი იმას, რომ ეს არ მოდის რუსეთიდან. ვთქვათ, რომ ეს არის რუსეთი, მაშინ უნდა ვთქვათ რატომ რუსეთი? ფაქტია, რომ ეს არის პრესტიჟის შელახვა, დეზორგანიზაცია და ეკონომიკური დარტყმაა ქვეყნისთვის.

არ არის გამორიცხული, ეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს უკავშირდებოდეს. ბოლო დროს ქვეყანამ დასავლეთისკენ ლტოლვა და ნატოს წვრთნების შინაარსი გაზარდა, მე არც ამ ფაქტორს გამოვრიცხავ, რომ ჩვენი ევროპასთან და ნატოსთან დაახლოება ამ დივერსიის ერთ-ერთ მოტივად განვიხილოთ. ქვეყნის გეოპოლიტიკამ დაგვაჩვია ეჭვიანობას, თუმცა ყველას, ვისაც ჩვენი გეოპოლიტიკური სურათი შეიძლება არ მოწონდეს, არ აწყობდეს, რომ სატრანზიტო ქვეყანა საქართველო იყოს, რეგიონში ძლიერ და დასაყრდენ ძალად გვთლიდეს ევროპა, ყველა შეიძლება ამ შესაძლო დივერსიის უკან იდგეს. ჩვენთვის მთავარია, რომ ძირში ვიყუროთ, ვისი ხელით კეთდება ეს?!

და კიდევ, ყველა ნორმალრად მოაზროვნე ადამიანი ხვდება, რომ ეს ხელისუფლება თავს ვერ ართმევს კრიზისული სიტუაციების მართვას. ხელისუფლება არ არის ორგანიზებული და უხდება სხვა ქვეყნებისთვის მიმართვა დახმარებისთვის. შესაბამისად ჩნდება გაღიზიანება და ანტაგონიზმი საზოგადოებაში. ბევრი რამ არის გამოსასწორებელი და ვეთანხმები პრემიერ მინისტრს, რომ კონკრეტული ქმედებებია საჭირო.

მდგომარეობა ასეთია - კლიმატი შეიცვალა, რაც ბევრი რამის საფუძველია. მიუხედავად იმისა, რომ ვერეს ხეობაში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, მწარე გამოცდილება მივიღეთ, არაფერი ქმედითი ღონისძიებები არ განხორციელებულა. ფაქტია, ახალი გამოწვევები გაჩნდა ქვეყნის წინაშე და არ შეიძლება სტიქიური უბედურების ბრძოლის სამსახურები სამ უწყებაში იყოს გადანაწილებული. თუმცა, ვერაფერს ვიტყვი მაშველების და არმიის პროფესიონალიზმსა და მაღალ ჩართლობაზე.“ – აცხადებს ექსპერტი მამუკა არეშიძე.

ბორჯომის ხეობაში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით დივერსიის მუხლით გამოძიება მიმდინარეობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 16 აგვისტოდან დღემდე ქვეყნის მასშტაბით 29 ხანძრის კერა დაფიქსირდა. ოფიციალური ინფორმაცია, თუ რა ფართობის ტყე დაიწვა ამ პერიოდში, ჯერჯერობით არ ვრცელდება.

**მარიკა ვაჭარაძე**

# დაავადებათა კონტროლის ცენტრმა რვა ყველაზე არაჯანსაღი პროდუქტი დაასახელა

**დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი საზოგადოებაში ჯანსაღი კვების წესის დასამკვიდრებლად სპეციალურ საინფორმაციო კამპანიას აგრძელებს. ცენტრში აცხადებენ, რომ ადამიანები ყოველდღიურად მოიხმარენ იმ კატეგორიის საკვებ პროდუქტებს, რომლებიც ჯანმრთელობისთვის საზიანოა, რაც სხვადასხვა დაავადებების პროვოცირებას იწვევს.**



ყველაზე საზიანო საკვები პროდუქტების ჩამონათვალი შემდეგნაირია:

1. **ტკბილი გაზიანი სასმელი:** გაზიანი სასმელის დალევა იგივეა, რაც თხევადი ტკბილეულის მიღება. გაზიანი სასმელი სისმსუქნის ერთ-ერთი მოწინავე გამომწვევი ფაქტორია. რომელიც ასევე ზრდის სიმსივნეების, ჰორმონების დისბალანსის და ნაადრევი დაბერების რისკს. გაზიანი სასმელი არამარტო წონის მატებას უწყობს ხელს, არამედ კარიესსა და კბილების პრობლემსაც იწვევს.

**ალტერნატივა:** მიირთვით ბლომად წყალი, ჩვეულებრივი უშაქრო გაზიანი სასმელი, ჩაი და ყავა. შეგიძლიათ წყალს ლიმონის ნაჭერიც დაუმატოთ.

2. **შაქარი და შაქრის შემცვლელი:** არსებობენ ადამიანები, რომლებიც შაქრის მაგივრად მის შემცვლელს იყენებენ. მიუხედავად იმისა, რომ შაქრის შემცვლელებს ნული ან დაბალი კალორია აქვს, ჩვენ ჯერ არ ვიცით რამდენად კარგია ის ჩვენი ორგანიზმისთვის. ბოლო წლების გამავლობაში მკვლევარები საკმაოდ ბევრს კამათობენ ამ საკითზე.

**ალტერნატივა:** დღიურად შეამცირეთ შაქრის მოხმარება. საბოლოო ჯამში, თქვენი ორგანიზმი ამას შეეჩვევა და თავს ბევრად უკეთ იგრძნობთ.

3. **“თარო-გამძლე” სუნელებ-სანელებლები:** ადამიანები ხშირად იყენებენ პაკეტებში მოთავსებულ კეტჩუპს, მაიონეზს, მდოგვს და სხვა მსგავს პროდუქტებს. ამ პროდუქტების მაცივრის გარეშე გამძლეობა მიუთითებს იმაზე, რომ მათ დამატებული აქვთ საკვების საღებავი, ხელოვნური დამატკბობლები, მარილი, მავნე ცხიმები და ქიმიური საშუალებები.

4. **გადამუშავებული ხორცი:** სოსისი, ბეკონი, ლორი - მკვეთრად ზრდის გულსისხლძარღვთა დაავადებების, ტიპი 2 დიაბეტისა და სიმსივნეების რისკს.

5. **ცომეული:** ყველაზე ცუდი რამ რაც შეიძლება თქვენს ორგანიზმს შეემთხვეს. ნებისმიერი სახის ცომეული მაღალკალორიულობის გამო მნიშვნელოვნად ვნებს ჯანმრთელობას.

6. **მარგარინი:** ნაჯერი ცხიმები, (გვხვდება ცხიმში შემწვარ პროდუქტებში) - ორგანიზამში ზრდის “ცუდი” ქოლესტერინის დონეს, რაც მომავალში მნიშვნელოვნად ზრდის გულის შეტევის რისკს.

**ალტერნატივა:** გამოიყენეთ ჯანსაღი კარაქი.

7. **ყველაფერი რაც ზედმეტად შემწვარია:** მაგალითად ე.წ. კარტოფილი ფრი. ეს პროდუქტი არამარტო აქსუქებს, არამედ მაღალ ტემპერატურაზე შეწვის გამი იგი შეიძლება ტოქსიურ ქიმიური ნივთიერებებს შეიცავდეს.

8. **პიცა და სწრაფი კვების პროდუქტები:** ერთ-ერთი ყველაზე არაჯანსაღი პროდუქტია. იგი მაღალკალორიულ საკვებთა ჩამონათვალს მიეკუთვნება, ვინაიდან გადამუშავებული ხორცით მზადდება. ცომი კი რაფინირებული თეთრი ფქვილით მზადდება.

**ალტერნატივა:** მოამზადეთ პიცა სახლში, ჯანსაღი პროდუქტებით თუ მეტად არა, არანაკლებ გემრიელი იქნება.

**საზოგადოებაში ჯანსაღი კვების წესის დასამკვიდრებად და ამ მიმართულებით საზოგადოების ინფორმირების მიზნით, დაავადებათა კონტროლის ცენტრი „ არტინფო საქართველოსთან“ ერთად სპეციალურ კამპანიას ატარებს. კამპანიის ორგანიზატორები საზოგადოებას მოუწოდებენ, ყურადღებით გაეცნონ მავნე და არაჯანსაღი საკვები პროდუქტების შესახებ ინფორმაციას და შესაძლო რისკების თავიდან ასაცილებლად შეძლებისდაგვარად გაითვალისწინონ.**

P.S.
**მთავარი რედაქტორი:** ნატო გუბელაძე • **დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი • **მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის №37ა • (0 431) 24-45-46. • psnews27@gmail.com • www.psnews.ge
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
**R — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე.**
**გამომცემელი** — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401 გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი: **UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054) პ - 658 P - 86**